

დადგენილება № ცვ-0908-22
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

4 აგვისტო, 2022 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 4 აგვისტო.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი კონსტანტინე გოცირიძე, პირადი № 21001039640, დაბ. 1994 წლის 24 დეკემბერს, მის.: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუფოთი, მე-10 ქ. III ჩიხი, № 2, ფაქტ. მის.: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზ. № 5, ბინა № 22, ტელ.: 597 081818.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2022 წლის 7 ივნისს, ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზ. № 5, ბინა № 22-ში, აბონენტ გოცირიძის (აღნიშნულ მისამართზე ამჟამად ცხოვრობს და ელექტროენერგიას მოიხმარს კონსტანტინე გოცირიძე), აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა, რომ მრიცხველი მუშაობს შენელებით და მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა აღრიცხება არასრულად. მრიცხველი მოიხსნა და შესამოწმებლად გაიგზავნა შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრში“, სადაც 19 ივლისს ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლის მოთხოვნითა და თანდასწრებით გაიხსნა იგი და დადგინდა, რომ № 04187125 ცალფაზა მრიცხველის (დასკვნა № 1322), რომლითაც აღრიცხებოდა კონსტანტინე გოცირიძის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია, ელექტრონულ სკემაში არის ხელოვნური ჩარევა, რის გამოც მრიცხველი არასრულად აღრიცხავს მოხმარებულ ელექტროენერგიას და მეტროლოგიურად უვარგისია. სანიმუშო გაზომვით კი აღრიცხვის ცდომილება შეადგენს -66%-ს, რაც გამოწვეულია მრიცხველში ხელოვნური ჩარევის შედეგად და ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. კონსტანტინე გოცირიძის მიმართ 02.08.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 009560 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის არსებობას და განმარტავს, რომ ფაქტი მისთვის ცნობილია და აღარ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. კონსტანტინე გოცირიძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 07.06.2022წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A951841 და შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრის“ დასკვნა № 1322, რომლებითაც დასტურდება კონსტანტინე გოცირიძის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აზონენტის ბარათი, შპს „საქართველოს მეტეოლოგიის ცენტრის“ დასკვნა № 1322), რომელთა მეშვეობით დგინდება კონსტანტინე გოცირიძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც კონსტანტინე გოცირიძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 30.06.2021 წ. OR №2021018 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი კონსტანტინე გოცირიძე, პირადი № 21001039640, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე